ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2021 წლის 21 სექტემბერი

დაბა სტეფანწმინდა

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/03/2019, 090020020.35.151.016272) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეოთხე მუხლს დაემატოს მე-7^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ - მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების გადანერგვა (გული, თირკმელი, ღვიძლი) სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდება ამ მომსახურების ღირებულების 50 %-ით.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გრიგოლ სეთურიძე**